

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმ N 1

ქ. თელავი

16.01.2018 წელი

თავმჯდომარეობდა: დ. გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტ. დარეჯანიშვილი; ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ზ. ლილუაშვილი; ზ. ნაცარაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი - ტ. გალახვარიძე, სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი - მ. ჩაფურიშვილი; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოწვეული სპეციალისტი - ლ. ფარსადანიშვილი; საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი - ზ. ენუქიძე; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნ. ვაყელიშვილი.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი  
თანამომხსენებლი - ნ. ვაყელიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების, მხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

3. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სამწლიანი საგრანტო პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - ზ. ენუქიძე

**მოისმინებს:** თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვება:** ზ. ლილუაშვილმა, ტ. დარეჯანიშვილმა და ზ. ნაცარაშვილმა რომ სასურველია სარეზერვო ფონდი, რომელიც განისაზღვრება 100,0 (ასი) ათასი ლარის ოდენობით, გაიზარდოს 40,0 (ორმოცი) ათასი ლარით.

**გადაწყვიტება:** წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს.

**მოისმინებს:** თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების, მხარჯვი დაწესებულებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის განხილვის შესახებ.

აღნიშნულ პროექტან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

**გადაწყვიტება:** წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს.


**მოისმინებს:** ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სამწლიანი საგრანტო პროექტის განხილვის შესახებ.

ზ. ენუქიძემ აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს სამ მუნიციპალურ შენობაში ენერგოეფექტური სამუშაოების ჩატარებას: სახურავების, კედლების, ღიობების, იატაკების დათბუნებასა და გათბობის სისტემების მოწყობას. აღნიშნული პროექტის მოცულობაა 748 641 ევრო. აქედან ევროკავშირი აფინანსებს 598 913 ევროს და მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობაა 20% ანუ 149 728 ევრო. რაც 1 წელიწადში შეადგენს 150 000 ლარს. თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილოს პროექტის განხორციელების საკითხი და მიზანშეწონილობის შემთხვევაში ასახოს ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილში.

აზრი გამოთქვეც: დ. გოგოშვილმა აღნიშნა, რომ თელავის  
მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილოს პროექტის განხორციელების საკითხი და  
მიზანშეწონილობის შემთხვევაში ასახოს ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილში.  
ინფორმაცია პროექტის შესახებ მოწონებულ იქნა კომისიაზე დამსწრე ყველა  
წევრის მიერ.  
გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტის მერიას  
განიხილოს აღნიშნული საკითხი.

(რეკომენდაცია თან ერთვის ოქმს ერთ ფურცლად.)

საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის თავმჯდომარე



დ. გოგოშვილი